სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1082

ქ. თბილისი

2.11.2011

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა ფინანსური დავალიანების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის " მესამე მუხლის მეოთხე პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 10 მარტის №36 სხდომაზე დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის" მეორე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც 2011-2012 სასწავლო წელს ჩაირიცხნენ ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტში და ერიცხებათ ფინანსური დავალიანება, ეძლევათ გაფრთხილება, დაფარონ სწავლის საფასური 2011 წლის 10 დეკემბრამდე.

2. სტუდენტებს, რომლებიც არ დაფარავენ სწავლის საფასურს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში, 2011 წლის 10 დეკემბრის შემდეგ დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის ფაკულტეტს, ბიზნესის ფაკულტეტს, საინჟინრო ფაკულტეტს, სპორტის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის

ადმინისტრირების დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო სამმართველოსა და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი